

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

თანამედროვე და ეფექტური სასაზღვრო უწყების ჩამოყალიბება. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც უწყებათშორისი ხასიათის სერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, სასაზღვრო საქმიანობიდან გამომდინარე მჭიდროდ თანამშრომლობს მეზობელი და უცხო ქვეყნების სასაზღვრო სამსახურებთან, სერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. იქმნება საჭიროება რათა საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ სასაზღვრო საქმიანობის ფარგლებში ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მიზნით დადოს უწყებათშორის საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუმცა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით: „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით იღება უწყებათშორისი ხასიათის ხელშეკრულება საკითხებზე, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება“ რაც მნიშვნელოვნად აფერხებს აღნიშნული დეპარტამენტის ეფექტურ მართვას და მასზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მიმდინარე რეფორმა, რომლის მიზანს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება წარმოადგენს. კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მოსაზღვრე ქვეყნების სასაზღვრო უწყებებთან არსებული ურთიერთობების განვითარების და ახალი კავშირების ჩამოყალიბების პროცესის ეფექტურად წარმართვას. აღნიშნული მიმართულებით მართვის

გაუმჯობესებას. მასზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას, სასაზღვრო უწყების ევროპული და დასავლური სტანდარტების სამსახურად ჩამოყალიბებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციას ენიჭება უფლება დადოს უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება. რომლის მიხედვითაც სასაზღვრო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ეფექტური გახდება საქართველოსა და მოსაზღვე ქვეყნებს სასაზღვრო უწყებებს შორის თანამშრომლობის განვითარება და ჩამოყალიბება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.